იერ 26,11-16.24; ფს 68; მთ 14,1-12

ნამდვილად უფალმა გამომგზავნა იერ 26,15

ასე ამბობს იერემია წინასწარმეტყველი, როდესაც ხალხის ცუდი ქცევის გამო ხმის ამოღებისათვის სიკვდილს უპირებენ. როგორც გუშინ ასევე დღესაც ნამდვილი წინასწარმეტყველნი დევნილნი არიან ცოდვილთაგან. სულიწმიდის მადლით გვეყოფა სიმამაცე, ღვთის წმიდა სიტყვის სათქმელად; გვეყოფა თავმდაბლობა, რათა მათი საშუალებით გავსწორდეთ და გარდავიქმნათ.

ეს 55,1-3; ფს 144; რომ 8,35.37-39; მთ 14,13-21

შეებრალა ისინი და განკურნა მათი სნეულები მთ 13,58

შენ, იესო, ხარ „ღმერთი-ჩვენთან-არს“, ნამ-დვილად თანამლმობი. მზადა ხარ გეგმები შეცვალო, როდესაც გვჭირდები და გეძებთ შენი სიტყვისა და შენი შემწეობისათვის და წამოგვაყენებ ჩვენს უბადრუკობათაგან. დღეს შენ იქნები წმიდა წირვაში: გვსურს შენთან მოსვლა.

ორშაბათი

იერ 28,1-17; ფს 118; მთ 14,22-36

წინასწარმეტყველს, მხოლოდ სიტყვის აღსრულებისას ცნობენ იერ 28,9

იერემია წინასწარმეტყველი ამ სიტყვებით იცავს თავს ცრუწინასწარმეტყველ ანანიასგან, რომელსაც მისი გაძევება სურდა. იერემია ხომ უბედურებას აუწყებდა ხალხს, ანანია კი – მშვიდობას. გამართლდა იერემიას სიტყვა და ამგვარად აღიარეს იგი ღვთისაგან მოვლენილ ნამდვილ წინასწარმეტყველად. იესო, ქმენ, რომ დაგყვეთ შენ და დაგემსგავსოთ, რამეთუ შენა ხარ მამის ჭეშმარიტი სიტყვა, ჩვენ რომ მოგვმართავს.

4 აგვისტო

რიგითი XVIII კვირა [II]

წმ. იოანე მარია ვიანეი, ხუც., +1859, (მ), თ

2020

სამშაბათი

იერ 30,1-2.12-15.18-22; ფს 101; მთ 15,1-2.10-14

თქვენ იქნებით ჩემი ერი და მე ვიქნები თქვენი ღმერთი იერ 30,22

თავისი ერის ურჩთა დასჯის შემდგომ ღმერთი იარებს უსვევს და ერთგულებად აქცევს მათ. როდესაც ვშორდებით უფალს, თავადვე დავიტეხთ ხოლმე თავზე სასჯელს, იგი კი მზადაა ჩვენს განსაკურნებლად და კვლავ მისაღებად. გმადლობ, იესო, შენი ერთგული და გულმოწყალე სიყვარულისთვის. მადლობა წმიდა იოანე მარია ვიანეისათვის, კვლავაც რომ მოგვიხმობს შენსკენ მოსაქცევად.

აგვისტო

რიგითი XVIII კვირა [II] მწ
(24.VII) წმ. ილარიონ თვალოელი;
წმ. მარიამის მთავარი ბაზილიკის კურთხევა

ოთხშაბათი

იერ 31,1-7; ფს: იერ 31,10-13; მთ 15,21-28

უდის საკრებულოს დღეობა მთაში

იხსნა უფალმა თავისი ერი იერ 31,7

იერემია წინასწარმეტყველი მოუხმობს ერს იმედისა და ღვთის ერთგული სიყვარულის აღიარებისაკენ. ეს სიყვარული სისავსით ვლინდება იესო ქრისტეში, და ის არამხოლოდ ისრაელისთვის, რჩეული ერისთვის იქნება, არამედ ყველა ხალხისათვის. დღევანდელი წირვის სახარება გვიდასტურებს ამას. წარმართ დედაკაცს ხომ აღტაცებით შეაქებს იესო და იმ „დიდი“ რწმენის გამო, რომელსაც ავლენს, მაშინვე შესმენილ იქნება!

6 აგვისტო

2020

უფლის ფერისცვალება, დ, [ს], თ

(24.VII) წმ. ილარიონ თვალოელი, მონაზონი, +1041

ხუთშაბათი

დან 7,9-10.13-14; (ან, 2პეტ 1,16-19) ფს 96; მთ 17,1-9

ვეღარავინ დაინახეს, იესოს გარდა მთ 17,8

მადლობა, იესო: სიყვარულით შენთან ყოფნით, განცალკევებულ ადგილას, შენ სულ უფრო უკეთ შეგვაცნობინებ თავს და ნათელს ღვრი ჩვენი გულებისათვის. მადლობა შენი სიყვარულის ყოველი გა-მოვლინებისათვის: შენა ხარ სიცოცხლე, ჭეშმარიტი ნათელი ყველასათვის.

7 აგვისტო

2020

რიგითი XVIII [II] მწ

წმ. ქსისტე II პაპი და მეგ., წამებ., +258;
წმ. კაეტანე, ხუცესი, +1547

პარასკევი

ნაუმ 2,1.3; 3,1-3.6-7; ფს: რჯლ 32,35-41; მთ 16,24-28

აჰა, გაისმა მთებზე მახარობლის ფეხის ხმა მშვიდობის მაცნედ ნაუმ 2,1

ნამდვილად კურთხეულია იმათი ნაბიჯები, ვინც გაუწყებენ შენ, იესო! „მთებზე“ – იმ გრძნობებზე, შურზე და სიხარბეზე აღმატებული, დედამიწა რომ მოუცავთ, შეუძლიათ შენი წარდგენა, მომტევებელო, სიყვარულით გამნათებელო და დამხსნელო. ისინი იუწყებიან ნამდვილად ჭეშმარიტ მშვიდობას, თანხმობას მამასთან და ძმებთან!

8 აგვისტო

2020

რიგითი XVIII კვირა [II]

წმ. დომენიკე, ხუცესი, +1221, (მ), თ

შაბათი

აბაკ 1,12 - 2,4; ფს 9; მთ 17,14-20

ჰოი, ურწმუნო მოდგმავ!
როდემდე ვიქნები თქვენთან? მთ 17,17

იესო იტანჯება, როდესაც ხედავს, რომ ჩვენ არ გვჯერა მისი, მამის მიერ ყოველი დამთრგუნველი მდგომარეობიდან ჩვენს გამოსახსნელად მოვლინებულის. როდესაც ხედავს ჩვენში სრულ ნდობას მისდამი, იგი გვათავისუფლებს თავისი გულმოწყალებითა და ძლიერებით. იესო, გესავ შენ.

9 აგვისტო

2020 კვირა

ᲛᲐᲢᲗ 19,9.11-13; ფს 84; რომ 9,1-5; მთ 14,22-33

გამხნევდით, მე ვარ, ნუ გეშინიათ მთ 14,27

ᲬᲛᲘᲠᲐᲓ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲕᲛᲣᲨᲐᲝᲑ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲔᲣᲚᲝᲨᲘ, ᲕᲨᲘᲨᲝᲑ ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲕᲐᲡᲬᲠᲔᲑ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑ ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲛᲘᲕᲔᲜᲓᲝ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ, ᲩᲔᲛᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲛᲧᲝᲤ ᲘᲔᲡᲝᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲓᲔᲕᲜᲝ ᲨᲘᲨᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ. ᲕᲛᲐᲓᲚᲝᲑ ᲛᲐᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲛᲬᲐᲓᲔᲑᲡ, ᲩᲘᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲘᲕᲘᲦᲝ ᲩᲔᲛᲘ ᲬᲛᲘᲠᲘ ᲣᲣᲜᲐᲠᲝᲑᲐᲜᲘ. ᲕᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲘᲜᲐᲮᲔᲗᲐᲒᲐᲜ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲚᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲪᲐᲜᲔᲜ. ᲗᲣᲙᲘ ᲘᲔᲡᲝᲐ ᲐᲥ, ᲠᲐᲦᲐ ᲔᲡᲐᲥᲛᲔᲑᲐ ᲨᲘᲨᲡ?!

10 2020

აგვისტო

წმ. ლავრენტი, დიაკ. და წამ. +258, დ, [ს], წ;
(28.VII) წმ. ღირსი გიორგი მაშენებელი, +1029

ორშაბათი

2კორ 9,6-10; ფს 111; იო 12,24-26

თითოეულმა გასცეს, როგორც გულით აირჩია 2კორ 9,7

წმიდა ლავრენტიმ მიბაძა იესოს ნიმუშს: გასცა სიცოცხლე, ღარიბთა სამსახურად და სისხლი – უფლისადმი ერთგულებისათვის. იესო ხომ მდიდარი იყო და გაღატაკდა ჩვენთვის. ეს შენ, იესო, ძალგიძს მოგვანიჭო სულგრძელი გული ყველა იმათთვის, ვისაც სჭირდება დახმარება.

II

2020

აგვისტო

რიგითი XIX კვირა [III]

(29.VII) წმ. ევსტათი მცხეთელი, წამ. +550 (მ), წ;
წმ. კლარა ასიზელი, ქალწ. + 1253, (მ), თ

სამშაბათი

ეზეკ 2,8 - 3,4; ფს 118; მთ 18,1-5.10.12-14

ვინც თავს დაიმდაბლებს, ის იქნება უდიდესი ცათა სასუფეველში მთ 18,4

იესო, შენ ბავშვი გახდი, მუდამ უგონებდი შენს მშობლებსა და შენს ზეციერ მამას, მისი სიყვარულისადმი ერთგულებისათ-ვის ფვარიც კი მიიღე; შემაძლებინე შენს ნაკვალევში ჩავადგა ფეხი. ბავშვებისაგან ვისწავლი ჩემს სიმცირეზე დათანხმებას.

12 2020

აგვისტო

რიგითი XIX კვირა [III] მწ

წმ. იოანა ფრანცისკა დე შანტალი, მონ., +1641

ოთხშაბათი

ეზეკ 9,1-7;10,18-22; ფს 112; მთ 18,15-20

რასაც გახსნით მიწაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც მთ 18,18

იესო ესაუბრება თავის მოწაფეთა საკრებულოს. მას ადარდებს მათი ერთობა, თანხმობა, ურთიერთშეწყობა: ამგვარად გამოავლენენ ისინი თავად ღმერთის სიცოცხლის მშვენიერებას, ძესთან შეერთებული მამისა, ძისა, მამას რომ ებაძება და უგონებს და სულიწმიდისა, რომელიც მთელ ქმნილებაზე გადმოღვრის მათ სიყვარულს. როდესაც ისინი შეერთებულნი იქნებიან, მათი საშუალებით თავად ღმერთი იმოქმედებს და თავისი ღვთიური სიყვარულის ბეჭედს დაასვამს ყოველივეს, რასაც ისინი გააკეთებენ.

13 2020

აგვისტო

(31.VII) წმ. არსენ ნინოწმინდელი, ეპისკოპოსი, +1018;
წმ. პონციანე პაპი და იპოლიტე ხუც., წამ., +235

ხუთშაბათი

ეზეკ 12,1-12; ფს 77; მთ 18,21-19,1

ბატონმა ვალი აპატია მთ 18,27

მადლობა, იესო, რომ ამდენჯერ მომიტევე
და ამისათვის ჯვარზე ევნე. მსურს ვისწა-
ვლო შენგან ვნება და მიტევება: შენი მა-
დლით დამყოლად მოვუსმენ სულიწმიდას.

14 აგვისტო

რიგითი XIX კვირა [III]

წმ. მაქსიმილიან მარია კოლბე, ხუც. და წამ., +1941, (მ), წ

2020

პარასკევი

ეზეკ 16,1-15.60.63 (მოკლე 16,59-62); ფს.: ეს 12,2-6; მთ 19,3-12

მე აღვადგენ ჩემს აღთქმას შენთან ეზეკ 16,62

დღეს ვიხსენებთ წმიდა მაქსიმილიან მარია კოლბეს, მეორე მსოფლიო ომის დროინდელ წამებულს. იესოსადმი სიყვარულმა უბიძგა მას ერთი დაოჯახებული კაცის ნაცვლად მომკვდარიყო. ამით გვეუბნება, რაოდენ მნიშვნელოვანია უფლისათვის ოჯახი! სწორედ ამასვე შეგვახსენებს თავად იესო. მეუღლეთა ერთობის გადასარჩენად თვად მათ მართებთ მზადყოფნა ჯვრის საკარებლად.

15

2020

აგვისტო

უწმიდესი მარიამ ღმრთისმშობლის
ზეცად აღყვანება, დდ, [ს], თ

შაბათი

გამოცხ 11,19;12,1-6.10; ფს ५५; 1კორ 15,20-26; ლკ 1,39-56

თბილისის ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების
კათოლიკური საკათედრო ტაძრის დღეობა;
უდის დიდი კათოლიკური ეკლესიის დღეობა.

იზეიმა სულმა ჩემმა ღმერთში, ჩემს მაცხოვარში ლკ 1,47

მარიამმა წარმოთქვა ეს სიტყვები თავისი ახალი ცხოვრების დასაწყისში, ცხოვრებისა რომელიც მთლიანად უნდა დახარჯულიყო მამის ნების აღსასრულებლად. დღეს მას ნამდვილად შეუძლია სიხარული, რადგან შედის ნანატრი დახსნის სისავსეში. ჩვენ ვმადლობთ მას იმ ღმერთისადმი ერთგულებისათვის, რომელიც ელაპარაკა მას და მისდამი ნდობით მივეცემით ღმერთის ერთგულებისა და სიუხვის სიხარულს.

ეს 56,1.6-7; ფს 66; რომ 11,13-15.29-32; მთ 15,21-28

მოგეცეს, როგორც შენ გსურს მთ 15,28

რაოდენ მშვენიერია იესოს ეს პასუხი!
რითი დაიმსახურა ის ამ ქალმა?
მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი,
ნდობით ეთხოვა, თავმდაბლად.
სწორედ ის თავმდაბლობა, რომელიც
მზადაა ლეკვებთან შედარების
დამცირებაც კი მიიღოს,
ეს თავმდაბლობა იმარჯვებს
და ეშმაკი ტოვებს მის ასულს.
რა ესაქმება ეშმაკს
თავმდაბალი ხალხის სახლში?!

17 აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV] მწ

2020 ორშაბათი

ეზეკ 24,15-24; რჯლ 32,18-21; მთ 19,16-22

წადი, შენი ქონება გაყიდე ... და გექნება საუნჯე ზეცაში მთ 19,21

იესოს შემოთავაზება ძალზე მომთხოვნია. ესაა პასუხი კონკრეტულ კითხვაზე: „რა სიკეთე უნდა ვქნა, რომ მქონდეს საუკუნო სიცოცხლე?“. მცნებათა დაცვა პირველი ნაბიჯია, რომელიც გვაყენებს სავსე, მარადიული სიცოცხლის ზღურბლზე. შესასვლელად კი... აუცილებელია შეხვიდე მამის გულში, სადაც იესოა. აქ კი კარიბჭე ვიწროა, ანუ, ხელბარგის გარეშე თუ შევალთ. ხელბარგი კი ძალიან კარგად გამოდგება ღვთის ღატაკთა შესაყვარებლად!

სამშაბათი

ეზეკ 28,1-10; რჯლ 32,26-28.30.35-36; მთ 19,23-30

ღვთისათვის ყოველივე შესაძლებელია მთ 19,26

იესო განაგრძობს გუშინდელ მოძღვრებას. ადამიანთათვის შეუძლებელია არ სურდეთ სიმდიდრე, თუმცა თუკი მამის მადლი შემოვა მოქმედებაში, მათი სურვილი იესოსკენ შემობრუნდება. ხოლო, ვისაც იესო სწადია, აღარ ებღაუჭება სიმდიდრეს როგორც გულის განძს: იესო იმდენად აღავსებს მას, რომ სხვა რამისთვის ადგილი აღარ რჩება!

ოთხშაბათი

ეზეკ 34,1-11; ფს 22; მთ 20,1-16

თავად მე მოვძებნი ჩემს ცხვარს ეზეკ 34,11

ღმერთი ეძებს თავის კრავებს, თავის გაფანტულ შვილებს, საფრთხე რომ ემუქრებათ. იგი მათ ეძებს იესოს საშუალებით. იესო კი იყენებს ყოველ სტრატეგიას. ერთერთ მათგანს ვისმენთ დაუსაქმებელი მუშების იგავის წყალობით. იესოს სიყვარული ისე დიდია, რომ ყველას ღებულობს, ნებისმიერ ჟამს, და ყველას აძლევს მაქსიმუმს: გულის მშვიდობას მასთან თანაზიარებაში.

20 2020

აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV]

წმ. ბერნარ კლერვოელი,
აბატი და ეკლესიის მოძღვარი, +1153, (მ), თ

ხუთშაბათი

ეზეკ 36,23-28; ფს 50; მთ 22,1-14

ახალ სულს ჩავდებ თქვენში ეზეკ 36,26

ეზეკიელ წინასწარმეტყველი გვიყვება
თუ როგორ წმიდაჰყოფს ღმერთი თავის
სახელს. ამას წარმართთა შორის გაფვა-
ნტული თავისი ერის წევრთა შეკრებით
აკეთებს. შემდეგ უნდა განწმიდოს ისი-
ნი კერპებისაგან, რომელთა გავლენასაც
განიცდიან. დაბოლოს, ანიჭებს მათ ახალ
სიცოცხლეს, ახალ სუნთქვას, ახალ სულს,
თავის სულს! ახლა უკვე მათი ცხოვრება
მოწმობს ღვთის სახელის სიწმიდეს!

21 აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV]

წმ. პიუს X, პაპი, +1914, (მ), თ

2020 პარასკევი

ეზეკ 37,1-14; ფს 106; მთ 22,34-40

მიხვდებით, რომ მე უფალი ვარ ეზეკ 37,14

ადამიანები სულიწმიდის გარეშე უკლებლივ ყველანი მკვდრები არიან, უსიცოცხლო გამხმარი ძვლები. იესოსთან ყოფნით თანდათანობით მათში შედის სულიწმიდა, სიხარულითა და ურთიერთსიყვარულით. და მაშინ, მისივე სიცოცხლით ცხოვრებისას ხვდებიან, რომ ღმერთი ნამდვილად ღირსია, გავუგონოთ, დავყვეთ, დავემსგავსოთ მას და განვადიდოთ, როგორც უფალი.

22 აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV]

ნეტ. ქალწ. მარიამ დედუფალი, (მ), თ

2020 შაბათი

ეზეკ 43,1-7; ფს 84; მთ 23,1-12

ვარგავის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

აავსო უფლის დიდებამ სახლი ეზეკ 43,5

იესოში, მამა ღმერთის ნამდვილ ტაძარში, ადამიანებს შორის მის ნამდვილ სავანეში შეგვიძლია ვჭვრიტოთ მისი დიდება; მდაბალნი და მცირენი ამოიცნობენ მას, რადგან იესოა მამაზეციერის გულმოწყალება, სიბრძნე, მშვიდობა, უსასრულო სიყვარული. შევხედავ მას ისე, როგორც წარმომიდგნენ მას სახარებები, პირველ რიგში ჯვარზე.

ეს 22,19-23; ფს 137; რომ 11,33-36; მთ 16,13-20

მოგცემ ცათა სასუფევლის გასაღებებს მთ 16,19

ამ სიტყვებით იესო ანიჭებს პეტრეს ცათა სასუფევლის გაღებისა და დაკეტვის უფლებას. მახსენდება, არ ვიცი რატომ, ახალგაზრდები საათობით რომ ატარებენ დროს კლუბებში და დისკოთეკებზე. პეტრეს, ეკლესიას ძალუძს მათთვის კარის გაღება, რათა მივიდნენ იქ, სადაც შეძლებენ ნანატრი ბედნიერების პოვნას, სადაც იესო აღავსებს მათ თავისი სიყვარულის სიხარულით და მათთვისაც გასაოცარი სიყვარულის უნარის მიცემით, სადაც ააცეკვებდა მათ სულ სხვა მუსიკა და მათი თვალები გახდებოდა მანათობელი შუქურები!

24 აგვისტო

წმ. ბართოლომე მოციქული, დ, [ს], წ

2020 ორშაბათი

გამოცხ 21,9-14; ფს 144; იო 1,45-51

ლეღვის ქვეშ დაგინახე იო 1,48

ამ სიტყვებით უპასუხა იესომ ბართლო-
მეს, რომელმაც ჰკითხა: „საიდან მიცნობ?“.
გამონათქვამი „ლეღვის ხის ქვეშ“ ნიშნავს
„წმიდა წერილი გულდასმით კვლევისას“!
მწამს, იესო, რომ მუდამ გვიმზერ და ხა-
რობ, როდესაც მივეძღვნებით შენი სიტყვის
სმენას, რათა ვიცხოვროთ მისით. მადლობა
სიყვარულით სავსე შენი მზერისათვის.

წმ. ლუდოვიკე, +1270;
წმ. იოსებ კალასანსი, ხუც., +1648

სამშაბათი

2თეს 2,1-3.13-17; ფს 95; მთ 23,23-26

ღმერთმა დასაბამიდან ამოგირჩიათ დასახსნელად 2თეს 2,13

ვესაუბრებოდი ერთ ათეისტს და ვუსმენდი ცხოვრების საზრისის ძებნის შესახებ რასაც ამბობდა. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ოჯახს, მამაკაცისა და ქალისაგან შემდგარ ერთობას შვილების გასაჩენად და აღსაზრდელად, სამუშაოსა და უანგარობით ცხოვრების ფასეულობას. მადლობა მივუძღვენი იესოს, რომ მოავლინა ეკლესია თავისი სიტყვის დასათესად, რომელსაც იმათშიც გამოაქვს ნაყოფი, ვისაც ჯერაც არ სწამს მისი.

2თეს 3,6-10.16-18; ფს 127; მთ 23,27-32

მშვიდობის უფალმა
მოგცეთ თქვენ მშვიდობა 2თეს 3,16

შენა ხარ, იესო, უფალი მშვიდობისა. შენთან ერთობით, როგორც ლერწები ვაზიდან, ვღებულობთ შენი სიყვარულის სულს, გასაჭირშიც კი მშვიდობის წყაროს. მადლობა, რომ მუდამ აქ ხარ.

27 აგვისტო
2020
რიგითი XXI კვირა [I]
წმ. მონიკა, +387, (მ), თ

ხუთშაბათი

1კორ 1,1-9; ფს 144; მთ 24,42-51

გამდიდრდით მასში ყოველივეთი, ყოველგვარი სიტყვითა და ყოველგვარი ცოდნით 1კორ 1,5

ღვთის სიტყვის ნიჭზე და სიმდიდრეზე ფიქრისას მახსენდება, რომ ახალგაზრდობისას ძალზე მიჭირდა შეჩერება და რამოდენიმე პწკარის წაკითხვა: თითქმის შეუძლებელი იყო ჩემთვის! ხოლო მას შემდეგ, რაც ახლებურად გავიცანი იესო, ვგრძნობდი ამის საჭიროებას. შევუდექი ინტერესით კითხვას, სახარების განაზრებას და აღმოვაჩინე ნათელი ჩემი ნაბიჯებისთვის და ყოველდღიური მოქმედებებისთვის.

28 აგვისტო
2020

რიგითი XXI კვირა [I]

წმ. ავგუსტინე, ეპ. და ეკლ. მოძღ., +430, (მ), თ

პარასკევი

1კორ 1,17-25; ფს 32; მთ 25,1-13

მიძინება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

ხოლო ჩვენ ვქადაგებთ ჯვარცმულ ქრისტეს 1კორ 1,23

არის ხალხი, ვინც ეძებს ადამიანურ სიბრძნეს, სხვანი კი – სასწაულებს, ამბობს წმიდა პავლე, არადა, ის, ვისაც შემოაქვს ჩვენში ნამდვილი სიცოცხლე და სიბრძნე, მხოლოდ იესოა, თავისი სიცოცხლით, სიკვდილითა და აღდგომით.
მადლობა, იესო, რომ იმყოფები შენს ეკლესიაში, რათა მოგვაწოდო შენი სიბრძნე და სიცოცხლე.

29 აგვისტო

წმ. იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა, (მ), [ს], წ

2020 შაბათი

იერ 1,17-19; ფს 70; მარ 6,17-29

მე შენთანა ვარ შენს სახსნელად იერ 1,19

იერემია წინასწარმეტყველს უთხრა უფალმა ეს სიტყვები, ვისაც დაავალა მოქცევისაკენ მოეხმო ერი. თუკი იესო მე და შენ მოგვანდობს რაიმე მისიას, თავადვე გვაძლევს ძალას მის აღსასრულებლად და გვმფარველობს ჩვენ.
შენი მადლით, იესო, შენთან მიგულე.

იერ 20,7-9; ფს 62; რომ 12,1-2; მთ 16,21-27

მ. ანდრია გიგოლაშვილის გახსენება (+1937)

ვინც ჩემი გულისთვის დაჰკარგავს სიცოცხლეს, ის ჰპოვებს მას მთ 16,25

ზოგიერთ მეგობრებთან ერთად ვაგროვებდი ქაღალდსა და მინას მისიონერული ინიციატივისათვის და მომიწია ჩემი სამსახურის წინ ჩავლა. თანამშრომლებიდან ვინმე მომკრავდა თვალს. მომინდა ქუჩა შემეცვალა, რომ არავის შევემჩნიე, მაგრამ იესოს სიტყვებმა: „რასაც გაუკეთებთ ამ მცირეთაგანს, მე გამიკეთებთო“, გამბედაობა შემმატა და განვაგრძე. მაშინვე ვიგრძენი, რომ თავისუფალი ვიყავი სხვათა მსჯავრისაგან.

ორშაბათი

1კორ 2,1-5; ფს 118; ლკ 4,16-30

ვიუავი თქვენთან უძლურებაში 1კორ 2,3

წმიდა პავლე, იესოს მიერ სახარების საქადაგებლად მოხმობილი, ეუბნება კორინთოს ქრისტიანებს, რომ არ ჰქონია ადამიანურ უნართა იმედი, არამედ ოდენ სულიწმიდის შემწეობაზე იყო დანდობილი, რომელიც მაშინაც მოქმედებს ჩვენში, როდესაც უუნარონი ვართ.
მადლობა, სულო წმიდაო, შენა ხარ ძალა სახარების საქადაგებლად.